

572/

1974/2

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՊԱՐՏԱԿԱՆ ԱՊՐԱՆՈՒՄ



1974 ԵՄՈՅՅՈՒՆ N11

ԽՈՒՆ

საზვიადო

თინათინ ჯიჩიკაძე


დღეს ნოემბრის დილა არის,
დიდი დღესასწაულია.
დღედაქალაქს მშრომელთათვის
კარგი ფართოდ გაუღია.

მშვიდობის მზე დასცემციემებს
გაღებულ კოკო-ბიჭებს.
შრომის გმირი, სწავლის გმირი,
წინ ამაყად მობიჯეებს.

ეუავილეების ზღვა მოღვლავს,
საზეიმა სმაურთა;
სინარეულის, გამარჯვების,
შრომის დღესასწაულია.

ნახატი თაბაზ ხუმიშვილი





რუსულანი ზეიოზა

ნახატი თამაზ ხუსიუვილისა

გიორგი პაპიაშვილი

რუსულანი საგანგებოდ ემზადებოდა სადღესასწაულოდ:

- პაპა, ხვალ პირველკლასელები პარაღზე მივდივართ, იცი? — გახარებულმა უთხრა გიორგი პაპას.
- მერე რას აკეთებთ, მღერით თუ ცეკვავით?
- ვმღერით, ვვარჯიშობთ, გრიბუნას რომ გავუსწორდებით, შევფეგუფდებით, ყვავილებს აღვმართავთ და ერთ დიდ თაიგულად ვიქცევით.
- ჰოო, რა ლამაზი სანახავი იქნებით! ნეტავი შემეტქლოს წამოსვლა!..
- პაპიკო, შენ გვლევით რა უყურე და გენახავ!
- მეტი რა გზა მაქვს, გენაცვალოს პაპა!

გათენდა დღე და ზეიმიც დაიწყო...

...ჯერ ჩვენმა მეომრებმა ჩაიარეს, მათ მიჰყვნენ სპორტსმენები, მშრომელები... გამოჩნდნენ რუსულანის სკოლელებიც. აი, უცერად, თვალის დახამხამებაში, ერთად შეფეგუფდნენ და ვარდების დიდ თაიგულებად გადაიშალნენ...

მოსწავლეებმა ის იყო, ჩაიარეს და... დიქტორმა ქალმა ბავშვები მიიხმო მიკროფონთან:

გამარჯვების ზეიმიო,
მოვალთ, მოგვინარია...

ეს რუსულანი იყო, ლექსით გიორგი პაპას და მთელ საქართველოს დიდ ზეიმს უღოცვავდა.

გ. მარქის სხ...
ს...
...
...



„ილიონი ბავშვობისა და სკოლის წლები“

ახე ჰქვია იმ ძვირფას წიგნს, საიდანაც ეს პატარა ნაწყუ-

ვეტი ამოვიღეთ და დავებეღეთ. ეს წიგნი კიდევ იმიტომაცაა ძვირფასი, რომ იგი ლენინის დამ — ა. ი. ულიანოვამ დაწერა.

მამასთან

ნახატი რაქვა ხუშიჩიძისა

მამა თუ შინ იყო, ჩვენთვის — უფროსი დებისთვის — დიდი შეღავათი გახლდათ: შეიყვანდა ვალოდიას თავის კაბინეტში და გაკვეთილებს გამოჰკითხავდა. ვალოდიამ კი ყოველთვის ხუთი თითივით იცოდა ყველაფერი, ლათინურიც კი.

მამას ჭადრაკის თამაში უყვარდა. ეს სიყვარული ჩემს ძმებსაც გამოჰყვება: სიხარულით აღარ იყვნენ, ოჯახის უფროსი კაბინეტში რომ მიიხმობდა სოღმე ძმებს გაწყობილ ფიგურებთან.

ჭადრაკი მამას საკუთარი ხელით გამოეჩარხა და დიდად უყრთხილდებოდა. ყველამ — მთელმა და-ძმებმა — ამ ჭადრაკზე ვისწავლეთ თამაში.

ვალოდია ხან მამასთან თამაშობდა, ხან — ძმასთან — საშასთან. იგი, საერთოდ, ყოველ საქმეში გულისყურიანი და მუყაითი იყო და ჭადრაკსაც დიდი სიბეჯითით მოჰკიდა ხელი, სპეციალური სახელმძღვანელოებითაც კი სწავლობდა. ამიტომ იყო, რომ მოგვიანებით დიდებულადაც თამაშობდა.

პატარა ვალოდიას უსაღვროდ უყვარდა უფროსი ძმა, ყველაფერში მას ბაძავდა. თუ რაიმეს შეასახელებდნენ ან რაიმეს ჰკითხავდნენ, ჯერ საშას გადახედავდა ხოლმე — აბა, ის რას იტყვისო. თავდაჭერილი, სამართლიანი და ყველას მოსიყვარულე საშა, მარტო ვალოდიას კი არა, მთელ ოჯახს გვეყვება სამაგალითოდ. უმცროსი ძმა ბავშვობაში ფიცხი იყო და უფროსი ძმის მაგალითმა მასზე დიდი გავლენა მოახდინა:

რომ წამოიზარდა, ვალოდია თვითონაც ებრძოდა საკუთარ სიფიცხებს და ამიტომაც იყო, რომ მოწიფულობაში იგი ზომიერად დინჯი და თავდაჭერილი გახლდათ.

ვალოდია ბავშვობაში სამაგალითოდ სწავლობდა, მაგრამ მისი ნიჭის პატრონს, ამისათვის დიდი ჯაფა არ ადგა, მისთვის ეს იოლი საქმე იყო. მერე და მერე კი, როცა წამოიზარდა, თავს აწრთობდა, იმის ცდაში იყო, შრომაში ამტანი და მომთმენი ყოფილიყო. და, როცა დაფაქვაცდა, მისი შრომისუნარიანობა ჩვენ ყველას გვაოცებდა.


გარემოსადმი კრიტიკულად მიდგომის ნიჭი ბავშვობიდანვე დაჰყვა: ცოცხალი, ცულქი და უდარდელი ბიჭი ადვილად ამჩნევდა სხვის ნაკუსა და ღირსებებს. მერე საკუთარ თავს ჩაუკვირდებოდა: ხომ არა ჰქონდა მასაც რაიმე ასეთივე ნაკული? ხომ არ აკლდა ის ღირსება, რაც სხვას შეამჩნია?

ეს იყო ვალოდიას პიროვნების ერთ-ერთი ძლიერი თვისება.

ბავშვობიდანვე ვერ იტანდა ტრახბასა და მედიდურობას. მასხედლება, მამაჩვენსაც არ უყვარდა ტრახბა: მართალია, ჩვენ ყველანი კარგად ვსწავლობდით, განსაკუთრებით კი ვალოდია, მაგრამ არასდროს შეგვაქებდა, თუმცა გულში კი უზაროდა, პირიქით, იმას თუ გვეტყვოდა — კიდევ უკეთ ისწავლეთო.

თარგმანი სოფიო ბოკაშვილისა





კახეთი



ქვენი სამეომლო

სოხეთი

სოხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1920 წელს.
რესპუბლიკა იყოფა 34 რაიონად.
მოსახლეობა — 3 მილიონამდე კაცი.
დედაქალაქი — ერევანი.

პუბლიკა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი.
მოსახლეობა — 5 მილიონამდე კაცი.
დედაქალაქი — ბაქო.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1920 წელს.
რესპუბლიკაში შედის: ნახჭევანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და აჭარის, დედაქალაქი — ბათუმი და ერთი ავტონომიური ოლქი (სამხრეთ ოსეთის, დედაქალაქი — ცხინვალი).

საქართველო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1921 წელს.
რესპუბლიკაში ორი ავტონომიური რესპუბლიკაა (აფხაზეთის, დედაქალაქი — სოხუმი და აჭარის, დედაქალაქი — ბათუმი) და ერთი ავტონომიური ოლქი (სამხრეთ ოსეთის, დედაქალაქი — ცხინვალი).
იყოფა 67 რაიონად.
მოსახლეობა — 5 მილიონამდე კაცი.
დედაქალაქი — თბილისი.

ცისარტყელა

ჯანსუღ ნიჟაბაძე

აბა, როგორ არ მიუვარდეს,
აკუნდიანზე სატრფიალო,
მაღლა მზე და მთვარე არი,
დაბლა — დედა ქართლიაო.

სტუმარს გზასე პურ-მარლით,
დუშმანს ხმლით რომ დახვედრია, —
საქართველოს ჭურ-მარანი
და სიმაგრე — კახეთია!

აბა, როგორ არ მიუვარდეს
გაბენიდან სიბერემდის,
სიძლეურების კერა ტეპილი —
იმერეთი, იმერეთი!

თუნდაც ასჯერ ასი წელი
წუთისოფლის გზასე გგელოს,
არ იქნება არ გიუვარდეს
გურია და სამეგრელო.

ერთი მუხის ორი ცოტი:
ეს რაჭა და ეს სვანეთი,
ოღითგანვე ასე თქმულა,
მშეებიაო ერთმანეთის.

აბა, როგორ არ მიუვარდეს,
ერთი მუჭა დიდი ერი,
საქართველოს შეიდი კუთხე,
ცისარტყელას შეიდი ფერი...

მისი მხეგრძელობა იუოს,
მისი მრვალაკამიერი!

კალენდარი

ქიანდა ერთი კალენდარი,
მასწავინა, კონტა,
თურმე იყო ჯადოქარი! —
სასწაული მოხდა:

რომ ვახევი კალენდარს
უკანასკნელ ფურცელს, —
არა გჯერათ? — ერთი წელი
გაჟიხარდე უცემ!

3. ზინა (აზერბაიჯანი)

მალვიძარა

მალვიძარა რომ დარეკავს, —
მეღვიძება შედამ.
სვალ დიღითაც შვიდ საათზე
გაჟიღვიძო უნდა!

ისარი წინ გადავწიე,
კულში ბევრი ვიცინე,
დიღის თერთმეტ საათამდე
ვიძინე და ვიძინე!

ალხანა და ჩალხანა



ოთარ ჭალიძე

თავი მეხუთე


აი, ძველი სადგურიც, სოფელურ სახლზე მოდიოდა, მისი ზარის დარეკვა მგზავრებს უზმობს — მოდიოთ, უჩვეულო სურათი; ბაქანი და ზღვა ხალხი, ალხანას და ჩალხანას ჭერ არ მჭინდია ნანახი, რაც პირველად იხილეს, თითქოს არცერთს არ უყვირს; ჩუმაღ დგანან ბიჭები, უკირთ გაბნა საუბრის, რელსებს შორის შავლები თვალს, თვალებს კარგა ხანს.

— ო, რამდენა კიბეა! — აღმოხდება ჩალხანა. წითელქუდა უცნობმა თავი შიკინ დახარა, — რაო, — კიბეთა პატარებს და თან გაღიზიანა; ლამის გადაუარადა იმ კაცს ქული უკრიზია, — შვილო, კიბე კი არა, რკინიგზაა რკინიგზა! — რკინიგზასთან სუვევლა კიბე არის პაჩია! — თქვა და მწვერ ლამი ძიამ მკვირსცლად ასწია. ხალხის ტალღა დიძირა უცხად, სწრაფ ნაპიჯებით, მც სხელებით აფჩარდი თანამგზავრი ბიჭებით. რადგან მატარებელი სამ წუთს დგანა სადგურში, „ჩქარა“, ჩქარა! — ისმოდა ხალხის აურხაურში. გზა შუკრა და დაფარა მგზავრთა ბარგი-ბარხანამ, ორთქლმავალი ვერ ნახეს ალხანამ და ჩალხანამ. ვიღაც უყვირა: — არ დარჩე, ჩქარა არ გვეურება! — დარჩეს, ჩვენ სულ აქ არ ვართ? ვიღაც გაუხუმრება. მშვილდ სინჯავს ბლოთებს დინჯი გამკლებელი, ისმის ზარინჯა, ხმაური, გულთის გამწვრილებელი. ხელთი ამაყს ვაკონში ალხანა და ჩალხანა.

— აი, ხედავთ? გჭირდებათ ისე ხელში აუვანი — ეტყვი ნიშნის მოგებით აქმუტებულ პატარებს, — რკინისთლბა ოთახი თბილისამდე გვტარებს... მა, შეირხა ვაკონი ნელა, როგორც აკვანი, მოგვცა გამკლებელმა თითოს თითო სახანი, მაგრამ დასაძინელად ახლა ჭერ ვის ეცალა? კიკუციება სარკმელთან ორი ბიჭი მერცხალა. აქედანვე იხილეს იუო ამ ორ მგზავრისთვის.

— ჩალხანა, ხედავ? წყალგალმა ის ბილიკი სად მიდის? — არა, ის კი არ მიდის, ჩვენ მივდივართ პირიქით!

— ვერ გამოგე? სად მივალთ, რომ წავიდეთ ბილიკით? — ჩვენს სოფელში — ჩალხანამ ფანჯარასთან თეფლა, გაიხარა, ნაცნობი



ნახატები ზურაბ კახიანიძის

ბილიკი რომ იხილა. ვერითბოლით მგზავრები ორი ბიჭის კიკუციით და საუბრო ვაკონში სახანად ცხუმელი წერის კიბე დალიოდა სახმისი მალის გამღვიძებელი, მოვიწერა სურფაზე ჩვენი გამკლებელი, უწყინარი ხუმრობით მგზავრთა გამკლებელი, ხალხს ზეგრადენენ ბიჭები — ახლის მამიებელი. ხეილად დაუმეგობრდნენ პატარები იმ ძიას. ბავშვებმა ხომ კეთილი კაცის ცნობა იცინა. უცებ მატარებელი შედგა სადგურ „წყაროსთან“. — თქვა, ჩალხანა დავუყრი! — თქვა ძიამ და წამოდგა. — რა ჩალხო! — გაოცდნენ ახალბედა მგზავრები. — მატარებელს გამოეყვად უბიო ხარეგი. ვერ უხსლებენ შვიტრები თქვენს კალაში ჩაუვანას. — უთბრა გამკლებელმა ალხანას და ჩალხანას. დიდად გაოცებულნი, დიდად მკვირბულნი, ერთ ხანს იხსებენ ბავშვები, ეკვიო ჩაქურტებულნი. მერე, როცა დიძირა ჩვენი მატარებელი, კვლავ იღვივებს სარკმელში შობიო, გზებო, ტყე-ველი, კვლავ მოიტანს ის ძია ლილის კეთილს და ხალხს, თავზე ხელს გადაუსვახს ალხანას და ჩალხანას... პატარების შეციოთებებს ვერსალ ვერ გამკვიცა: ორი ხარო... ამხელა მატარებლის ეწევა? — ორიოთქ.. ვინა თქვა?.. ეგ ხომ სიღარიბეა!.. ორად ორი კი არა, ასი ხარ გვიბიოა!.. — მეგობრები აღნითო აღორქნამ ახალმა, ახლა უფრო გაოცდნენ ჩალხანა და ალხანა. ასე, უკველ სადგურზე უწყინარი ხუმრობით მგზავრთა გამკლებელი. — ჩალხანა ვაკონი! — ახლა თივას დავუყრიო, — თქვა და მისი ნაქვიმო ბიჭებს უყვი არ უყვიო. როცა ერთი უდი სადგურში დიღბანს უნდა გვეცავა, ჩვენც ჩავედით, ბაქანზე გავლა უწელია გვეწავა, არ მინდოდა ძილამდე ალხანას და ჩალხანას მატარებელი ემგზავრათ ორთქლმავლის უნახავად. გოატარე, ვაჩვენე მათ მანქანა ვიბება. — იმ ორ სოფელდ ბიჭისთვის მართალად საკვირველებმა. დიდ ბორბლებზე შემდგარი, ცაში ღრუბლის აშვებით ორთქლმავალი მჭინდავდა, შესცქეროდნენ ბავშვები.



გაგია ფალოსიას მამალი

ბებიან ფედოსიას სოფელი შორსა, მაღალ მთებში. ბებნის ძროხაყა ჰყავს, გოჭუნიათი ღორიც, კრუსწიწილაც და ოქროსბიბილიანი მამალიც.

ამ მამლის შიშით მაღლა ქორს ვერ გადაფერიან და ძირს მელა ვერ გაცუნცულებულებოყო; ომანბანი ყიყლიყით ყველას შიშის ზარს სცემდა. ამაყად დაბობოგებდა და საზრუნავსაც არ იკლემდა. სადმე თუ საკენკს წააწყებდებო, მოუქოთქოთებდა თავისინებს და თვითონ შორიანდლის დადარაჯდებოდა, ქათმებს თავს არავინ დაესხასო.

ერთი სიგყვით, მამალი მარლავც მამალი იყო და, როგორც ხდება ხოლმე, იმხანაც თავისი ძალგულიოვნება და შკუა-გონიერება თავში უაყარდა.

ხეჭეჭურის გოჭუნე შემომეჯდარი რომ დანახავდა, ცა რიჭრქამა შეფერაო, ერთს ომანხინად დაიყივლებოდა და, როგორც ბებერ სულელ მამალს, მასაც ეგონა, უჩემოდ ვერ გათენდება და მზე მთებიდან ვერ ამოგორდებაო.

ერთ მშვენიერ დღეს სოფლის შარაგზის გასწვრივ დიდი ბობები ჩაასვეს. მერე ბობებს შორის მავთულიები გააბეს, ზედ შუშის ნათურები დაჰკიდეს და მთებს შორის მოქცეულ სოფელში სინათლე აბრღლივალდა.

ირგვლივ დამე დღეს დაემსგავსა. სადღა იყო ჩაბნელებული ორღობებები და ეზოები, ბოსლები და

— ძია გეზურებოდათ, —
 ვუხსენი პატარებს, —
 სხი ხარო ი არა,
 ეს ნაქანა გვატარებს. —
 ხოლოს ავტით ვაგონში
 მე და თანაყუაგურები.
 მის კითხვს ბიჭებმა:
 — სად არიან ხარები? —
 შეგსა ვაძღვლებოდი,
 რაა გოქვა ახლა მას?
 ეშაყურად დახედა
 აღნას და ჩაღნანას...
 — თივც გავცითავდო, —
 თქვა თვალბის მიწახვით, —
 გამოგხსენით ხარები,
 ორთქლმავალი მივბობი.
 ყველა ააბარხარა
 ამ ზუმრობამ ახალმა,
 სუველაზე ძლიანა —
 აღნასა და ჩაღნანას.

თავი მეექვსე

ზეამ შავი მელნისფრად
 მთებში დამე ჩაღვარა,
 დანჯენ დასაინებლად
 აღნასა და ჩაღნანას.
 ბიჭებს ზემო კართებზე
 რიცა ჩაქმინებათ,
 მგაჭირებს მათი ნახვისას
 ტპლოდ ჩაცუნებთი
 თალოც კურცხაბომოდგარი
 — ბესის კაცა ცალბებია:
 — სუთი წლის წინ რუსეთში
 ბიჭე მყადღა მაგებლა.
 ომი რიცა დაიწყო,
 ჩემი ცოლი და ბავყვი
 თურმე ერთად ჩაფრფრულეს
 უწყისებებმა ხანძარში.
 გული ციკსელი დამწვარი
 ღამის ცრემლით გაგზანო...
 ეს ამბავი შევიტყე
 თანასოფელთაგანო. —


თქვა ცალბელა მებრძოლმა
 და გამეფდა დღემოლი,
 მწუხარ ქალებს წამოსკდათ
 ცრემლი ნაკადულიყით.
 ჩრდილი მოდგა ვაგონში
 შარშანდელი ქარშლისი.
 ზოგი დიომდ მას გლოვობდა,
 ზოგი ქმარს და თივს შუღლს.
 — ძივც, ახლა ხავ მიხედა,
 ცოლშეული თუ მარ გუავს? —
 ოხვრით ერთხმად აღმოსხდათ
 აღნანას და ჩაღნანას.
 თურმე გაღვიძებოთ,
 ყურს უგღებდნენ მესაიფს,
 თან აჰუტედნენ ბავყვიზე
 თვალებს წყვლი ბუსავით,
 კვლავ სირხეე გაიფდდა,
 დაგვიონა ნადელმე,
 ვეღარავინ გახედა
 ღრმა დუმლის დარღვევა.
 ბოლოს გამცილებელი
 ფეხბარცფით შემოვა —
 უძლიობა ხეგვივა
 და ვაგონის შემოვლა.
 ემ, ჩემსავით დამეღვდა,
 სიბერე სჭირს დლოცვილს,
 მღელ გზავს ორთქლმავალს
 ეშმაკალი გაოსცვლის. —
 თქვა და ყველას გავსურვა
 ძიამ ძილი ნებისა:
 იმ ცალბელას სიტყვებმა
 შემმრეს წაქმინების.
 წინ დამიგდა ველური
 სახე წვეულ ფაშისტი,
 ვინც დათუხა სიყვდილი
 დღისთვის და ბავყვისთვის,
 ვინცე გამოვლოდ ხანძარბით
 თვალზე რულს არ გვაყარებს,
 დიდი ომის შემდეგაც
 ძილს ვინც უფრობობს პატარებს.
 ასე გაბრუებული
 თავი ფიჭვებს მივანდე
 და ბავყვების შვიდ დამეს



საქათმეები. სწორედ ამ უცნაურობამ აუზნია თავ-
გზა ჩვენს სახელოვან მამალს: ვეღარ გაეგო, როდის
დღე იყო და, როდის — ღამე, როდის უნდა ყვივლა
და, როდის — არა. იფიქრა, იფიქრა და, სულ დამუნ-
ჯებას ისევ ყვილი ამჯობინა: ბოლოს და ბოლოს,
რა მამალი ვარ თუ არ დავიყვილებო! იჯდა საწყა-
ლი ხეშეშურზე და დღედაღამ გაუთავებლად ყიოდა.
მოკლედ, მისმა თავგამოდებულმა ყვილიმა სო-
ფელს ძილიც დაუკარგა და მოსვენებაც. ბოლოს ისე
გაიგებნა სახელი, ერთხელ ქვაც კი ესროლეს, — რას
ყვიხარ, შე უპაგრონოო...

მოიწყინა სოფლის საამაყო მამალმა. ერთბაშად
მოგყვდა და შეიცვალა, თითქოს თავმოსაწონი ბიბი-
ლოც მოედრიცა და გაულურჯდა. მის ათასფერად
აბრდღვილებულ ფრთებს ბრწყინვალედაც დაეკარგა.
დადიოდა ფრთებჩამოშვებული, ყველასაგან ათ-
ვალწუნებული და მასხარად აგდებული.

მისი დღადრდინება ბებია ფელსისასაც გადაე-
ლო, შეეშინდა: ეს უბედური ჯავრს გადაჰყვებო.
ძაგრამ იმ ოქროსბიბილიან მამალს დიდხანს არ
უხალღვია: — რაკი ქვეყანაზე სულ დღეა, ჩემი ყი-
ვილიც აღარავის სწირდებაო. ის დღე იყო და, მისი
ყვილი აღარავის გაუგია. თუმცა ინგბიბარი მაინც
არ გაიგებნა და ეზოში ისევ ძველებური რიხით და
თავმოწონეობით დააბოგებდა.



ვღარაქობდი დღემდე.
— მილე შევალთ ზაქსში —
ვილაც მგზავრა გვახარა.
ამ სიტყვებზე წამოსტენ
ალხანა და ჩალხანა.
— ეს მცხეთაა, ქართველთა
უწმინდესი ალაგო.
თბილისამდე აქ იყო
ჩვენი დღეაღაქი. —
დავანბე პატარებს —
მეუღე ქართული სამუარო:
ქვარო, სეტიცხველი,
არმაზი და სამთავრო.
უკან დავჯარა არაგვი —
შვილი ზეგა მწვერვალთა,
მერე თეთონ ზაქსი
თვალწინ წამოგვეშაროა.
ბიებეს ჯერ არჩანახის
ნახვა გულით სწურიათ.
— ეს ერთ-ერთი პირველი
ელექტროსადგურია.
— მივლ საბჭოთა კავშირში? —
შეკითხება ალხანა.
— დაბას — მცოდნე კაცივით
უპასუხებს ჩალხანა.
ჩქერია ცქერამ დარღილა
ჩანჩქერები ნაძვილი:
ძირს ტუდებოდა ქუბილით
მტკვარი გაღმორღინილი.
და კვარცხლბეგე შემდგარი
დიდი კაცი რომ ნახეს...
ვინც აიუქა სინათლე
ფარბების კობხაბებს,
ვისც დაიცვა სიმართლე
ოქტომბრამდე დღევლით,
ოცნს ოქტომბრებმა:
— ლენინო!... ლენინო!
ლენინო! — შტახტეს
ალხანამ და ჩალხანამ,
ლენინო! — ოქტებს
ქართლის შთებმა მალაშა.
ალხანამ და ჩალხანამ
ამ დღეს ნახეს თბილისში

დიდ კვარცხლბეგე შემდგარი
ქანდაკეა ილიის.

თ ა კ მ ე შ ვ ი დ ე

თბილისამდე უმარაც
ფარაკას და ქარხანას
ვურჩებდითი სარკმლიდან
ალხანას და ჩალხანას.
თვალს ვაღვებდი შორიდან
მტკვარის მწვენიერ ხეობას,
თელი ვღარ მოეწუწუდიტე
წარმეც სანახაობას.
მოგვეცხვოდა მდინარე
ამღვრული ქალებით,
ბოლოს, დედქალაქში
მისთან ერთად ჩავდიო.
დავავჯდა დიდი სადგური
მოზიშვიე ზეგა ხალხით.
ბარგით სასც ბაქნებზე
ურჩეკების რაზრაპით.
გვლვედა ყოველ ნაბიჯზე
ყავარჩენების ბაქური,
აფიშები — კედლებზე
ქრულ ნაჭრებად გაკრული.
დიდხანს ვიხტიალით
ხმაურიან ქუბში.
— არსად ჩილა არ ყრია
და არც თოვა-ფურჩიჩი! —
თქვა ალხანამ, თან მძაყაც
იქვეწულად გახდა...
ჩალხანასაც უყვარდა,
მაგრამ არა ამხვდოდა.
უწარმზარ სახლებში,
მოედნების ნახვისას,
შეცვლას ვაკვირდებოდი
თანამწავრთა სახისას.
მოვხვდიტ ტროლიბუსში
და ნაილი ბილითით
შე და ჩემი სტურბოტი
ზოიოპარათა მივედი.
— უნ არ ება ბარგით,
ოქტომბრეალც არ ება.

ბუკთი

წალი გაბრიძია

მოადით, უკვლამ ნახეთ
ჩემი ჭრელი ბურთი, —
სყდ ხატია კრუსი
და წიწილა სუთი.

ჩემი ბურთი ფრინვეს,
ჩემი ბურთი დახტის,
გააცინხ თინა,
დალაყთა ბატი.

არ ისვენებს წაბით,
არ ისვენებს წუთით
ჩემი სეგვარელი
მხიარული ბურთი.

ნახატო თხუარ ჩირინაგვილიან



მამ ახელთა შენობა
როგორ დაიარება? —
რახანს და ჩალხანს
ნაღლიანი ხმა შესისი.
ნაჩქარედალ ვახსობს:
— დენი მართავს ზაქისის... —
და თან მამ, მათ ვახედებ
ბიჭებს ფიქრში გართულებს.
და ვანახებ სიმბადა
წემოთ გაბმულ მავთულებს.
— დენი მოედინება
თბილისისკენ ასი გზით...
შინ რომ მივალთ, მამონვე
დაწვრილებით ავიხსნით.
ზოგაბრეშო რაც ვნახეთ,
ახლა აღარ ვეჩქრით,
ვეუბნებ, ლომებს, სპალოს, კენგურუს
მამ, რა დაეაწყებო...
ბეჭება სანახაობამ
და მგზავრობამ დავგდალა:
ნაბიჭ ძილვსა ადგამდნენ
ლახანა და ჩალხანა.
ვნახეთ თეთრი დაფები,
ცინიანები ნამდვილი,
ზოგაბრეშო მივირთვით
გერმელი სადილი.
ბოლოს, გვიან მივედი
საღამოსეხას ჩემს სახლში
და ელექტრონაურა
რომ ავანთე, მე, მამინ...
ვნახე, როგორ გაფითრდნენ
ალხანა და ჩალხანა.
გადარია სტუმრები
სასწრაფა ახალმა.
შეკრინენ, თითქოს საკუთარ
თვალს არცერთი არ ენდო,
უხანაოდ, უცეცხლოდ
ლამაჟ როცა ავინო,
ბრღვილივდა მუშაში
შუქი გამომწყვდეული.
ალხანა და ჩალხანა
იდგნენ გაოცებულნი.
დაბნეულმა ბიჭებმა

ბოლოს ერთ ბერს მიმართეს:
ფხვით შედგნენ სკამებზე,
შეუბერეს სინათლეს.
— სკამზე ფხვით შედგომა
სტუმრებს განა შეგფერიო?
ეგ სინათლე ჩაქრება
სულის ასერ შებერვით! —
ბავშვებს დაუვუცახანე,
დაუვტოე ზუმრობით,
დიდალ გახარებულმა
მთიი ჩემთან სტუმრობით.
— თვლა არ ციკით ასამდე! —
ორ მეგობარს ებერა.
— ჩამობრანდლით სკამიდან, —
არ სჭირდება შებერვა
ვოქვი და ჩუმაღ გამოვრთე,
უცებ ჩაქრა ნათურა;
გულთანად მაყინა
ბნელში ბავშვთა ფათურმა.
დიდხანს აღარ ავანთე...
— როგორ ჩაქრა? რა მოხდა? —
ას პატარა მეგობარს
გულმურყვილოდ აღმოხდა.
შუქი როცა გაბრწყინდა,
— ზღაპარია, თუ რაა?!
ვუპასუხე ჩემს სტუმრებს:
— ილიის ნათურაა.
ბიჭებს დიდხანს ვუხსნილი —
რა ანათებს ნათურებს,
დენი როგორ მოსკვევა
ზაქისიდან მავთულებს,
რომ ელდენიან ზუმრობა
არის მეტად საშიში,
რომ ეს შუქი იმეფებს
მთელ საბჭოთა კავშირში.
ბოლოს, წაძინებინახ,
შემომეხმა ორის ხმა:
— მიელ ხაბუთო, კავშირში?..
— ჩვენ სოფელში როდისლა?..
— მალე, ალბათ, სულ მალე! —
დავამშვიდე სტუმრები.
— სოფლად გვიწინა წავილოთ
ევგით ნათურები!..

დილით მთელი ქალაქი
გავცანი პატარებს,
ჩვენი მუშეუმები,
მთაწმინდა მოკატარე.
რა არ ვნახეთ თბილისში...
გამგზავრების წინდამით
მშხარად მავტრებულთა
თიარსოც კი ვივავით.
ბოლოს, ისევ სოფლისკენ
მატარებლით გავწვიეთ,
ნათურები ორთავს
წვევლად გავწინაწილეთ.
საჩუქრები მავთულით
საჩოკლად მათ თურქე,
დიდხანს შესცივინებდნენ
უხსნალოდ ნათურებს.
ბოლოს, როცა დიარსნენ
სოფლად დენის გავწინას,
გაუბრწყინდათ თვალები
ალხანს და ჩალხანს.






აკლავრის არკლავალური

ჩვენი პატარა მკითხველებო! ბევრს ალბათ სტამბა არც ეინახათ, იქნებ მას გვერდითაც ჩაევილით, საბჭოთა მანქანების გულზეც ესმით, მაგრამ ამა, რას ითვლებდით, რომ ეს მოკლე მანქანები ბეჭდავენ და კინძვეთ ტექსტს საყვარელ ფრაზ-ფრაზ წიგნებს და ფურცლ-გაზეთებს.

დღევანდელი ჩვენი სტამბები ყველა შესანიშნავი მწიგნობარის მითითებით, მუდმივად არსებობს და სტამბებში არსებული იგი მითითებით ხალხს ცხოვრებაზე უნდა, ამიტომ რეკლამებისთვის საკუთარ ფარულ სტამბებს აწოდებენ. ერთ-ერთი ასეთი სტამბა იყო ქალაქ თბილისის ვარკეთილის, ავღარაში, ახლანდელი ოფიცის კომისიის სახელობის ჩაინიშნა, კასის ქუჩაზე.

სტამბა აიგო მოწყობა და ზედ საბჭოთაური სახლი დაამუშა. აი, როგორ კანონების ვერ ხალხი მესერი შენობებს, რომ მუდმივად განდარბების კერადდება არ მიეპრობო, ამისთვის დიდი ხარჯები, მუხრებს, ზემოდან მტკნარავარ-



ბოლშევიკური სტამბა

ნახატი პირველი კონსტრუქციისა

ზე მიწა დაეყრეს და შერე ზედ ერთსართულიანი კოხტა სახლი დაამუშა.

სტამბაში შესვლა-გამოსვლა შეუძლებელი რომ ყოფილიყო, გაეყვანა ჩასასვლელი, — კოხტა.

ამ ნახატზე თქვენ ზედათი ეზოში ამოვიღეთ კოხტა, ამ კოხტის დახრებით ადგილიდან შერე კოხტა, იქიდან კი უფრო დიდ სარდაფში, სადაც მითითებული იყო სტამბა.

სარდაფში დღევანდელი გუნდები საბჭოთა და მთელი საქართველოს ეფინანსება ავღარის არალეალურ სტამბაში დაბეჭდილი მართალი ბოლშევიკური სიტყვა.


დღეს არალეალური ბოლშევიკური სტამბა — მუხუჩა; დაეყვანა თანხი ბარყანდელი სახით.

თქვენ ყოველთვის შევიძლიათ ნახოთ, თუ როგორ და, რა პირობებში იმართდნენ მან-მანები მუდმივად თვითმკურნალობის წინააღმდეგ, დღევანდელი მუდმივებისა და თანხის-ლუბისთვის.

აქთანდოლ მებრალინვილი

ფისუნია მ უთხრა ფისოს

ფისუნია მ უთხრა ფისოს:
— სირცხელია ძამიო,
სათაგურით დაჭერილი
თაგვი შეგიჭამიო!



მზეო, მზეო

— მზეო, მზეო, გვითხარი,
ვინ დაგარქვა ცხრათვალა?
— ერთმა ბიჭმა პატარამ,
მეტი ვეღარ დათვალა!



ნახატები **ალეარ ეგოკაძისა**


პრილ ბეჰერი



ძიძგი-ძიძგი, წაეკიდნენ
მამალი და ყვინჩილა,
ვარიკელებს გაუკვირდით,
კრუხი ვაღაფინდა.

ფისო

ჩემი ჭრელი, კობტა ფისო
სჭამს ნაზუქს და ორცხობილას,
ნოხზე წოლას არ კადრულობს,
ზედ საწოლზე მონჯობილა.





თრახთრახა და აიფხორა

ზუზანი ბალია

ნახატები ზურაბ კაპანაძისა

თრახთრახა და აიფხორა ერთ ეზოში ცხოვრობდნენ. თრახთრახა ბაგი იყო, აიფხორა კი ინდაური. ბაგს წვრილი თვალები სულ ერთიავად ეშმაკურად უთამაშებდა, კოჭლი იყო და რომ დადიოდა, თრახთრახი გაჰქონდა. ამიგომაც თრახთრახა შეარქვეს.

სულ სხვა იყო აიფხორა: გამოვიდოდა ეზოში, კისერს დაიმოკლებდა, ჩიჩახსვს დაიგრძელებდა, ფრთებს ჩამოუშვებდა და ასე აფხორილი, მედიდურად გაივლ-გამოივლიდა. ეზოში ყველას თვალში ხვდებოდა მისი საქციელი, მაგრამ თქმით არაფერს ეუბნებოდნენ. ეგ არის, ხანდახან ერთმანეთში ჭორაობდნენ:

— რა ქნას, ასეთი ჩვევა აქვს! — ვითომ ესარჩლეოდა ქლესა კაჭკაჭი მალაქია.

— ალბათ რაიმე შეიძინა! — გამომცდელად ამბობდა ჩხიკვი არქიფო და თან ეშმაკურად უყურებდა ენაჭარტალა კაჭკაჭს: ეგებ ინდაურზე რაიმე ახალი ჭორი დავგყუოო, მაგრამ კაჭკაჭმა არაფერი იცოდა, თორემ ენაზე ისეც არა დაადგებოდა რა.

ერთხელაც, სწორედ ასეთ ჭორაობაში იყვნენ, რომ ეზოში თრახთრახა გამოჩალახუნდა.

— აი, ნახე თუ აიფხორაც არ გამოვიდეს, — იწინასწარმეგველა ჩხიკვმა არქიფომ და ფანჯრიდან ცნობისმოყვარედ გადაჰყო თავი.

— აგიხდა ყველაფერი! ბიჭოს! აგერ არ გამოვიდა აიფხორაც!?

ინდაურმა კისერი დაიმოკლა, ჩიჩახვი დაიგრძელა, ფრთები ჩამოუშვა, გაიფხორა და გამოიფხორა.

—ნახე, ზედაც არ შეხედია!—სალაპარაკო იშოვა კაჭკაჭმა.

—მერე, რამეს მაინც წარმოადგენდეს!—თავი გადააკანტურა ჩხიკვმა.

—სალამსაც რომ არ კადრულობს!...

—ისიც რომ გულზე სკდება!...

—აბა!

უცებ თრახთრახამ, ვითომ შემთხვევით, აიფხორას წყლით სავსე თიხის ჯამს ფეხი ჰკრა და წააქცია, თან ინდაურს შეხედა, —ახლაც არ გამოიმელა-პარაკებო! მაგრამ შენც არ მომიკვდე, ინდაურმა კრინტიც არ დასძრა.

—ეზოს ამგვრიანებს ეგ ქვად საქციევი!—გაბრაზებით ჩაიბუტბუტა ჩხიკვმა არქიფომ.

—მდაა!—დაამთქნარა ინდაურმა.

—ნახე, ნახე რას უშვრება, ამწარებს!—აცმუკდა კაჭკაჭი მალაქია.

—სიმწრისგან თავპირიანად არ გაწითლდა!—ჩაურთო ჩხიკვმა არქიფომ.

—ნისკარგი არ ჩაარტყას!

—არ შემოაკვდეს ეგ მართლა ინდაური!

გაგულისებულმა თრახთრახამ აიფხორას მართლაც გამოიმწვევად აუარა და ჩაუარა, კიდევ აუარა და ჩაუარა...

შენც არ მომიკვდე!—ინდაურმა აინუნშიც არ ჩაავლო, აფხორილს თავი მადლა აეწია და ცაში იყურებოდა.

ამას ჩივის გულიც ვერ მოითმენდა და, თრახთრახა ხომ ბავი იყო! ერთიც გადაუტრიალა დელმებული თვალები, ერთიც გაუარ-გამოუარა და... —ხა-ხა-ხა-ხა!

—ხი-ხი-ხი-ხი!—ახლა კი ვეღარ შეიკავეს თავი ჭორიკანა მეზობლებმა.

გამწარებულმა თრახთრახამ ერთი კი ახედა ფანჯარაზე გადმომდგარ ჩხიკვსა და კაჭკაჭს და სახლში შევიარდა.

ორმა-სამმა დღემ ისე გაიარა, თრახთრახა არ გამოჩენილა. მარტო ინდაური დაიფხორებოდა ეზოში. ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ეზოში გვე „ჯოთლოვანის“ ცირკის დირექტორი კოდალა მარიფთა შემოვიდა. თრახთრახა და აიფხორა იკითხა: თურმე ჩხიკვს და კაჭკაჭს ინდაურისა და ბაგის ეს სასაცილო ამბავი ქვეყნის ქვეყნობამდის მოეფინათ და კოდალას ყურამდევ მისულყო.

ეზოში აიფხორა ინდაური დაუხვდა.

—აიფხორა თქვენა ხართ?

ინდაურმა კისერი დაიმოკლა, ფრთები ჩამოუშვა, ჩინახვი დაიგრძელა და აფხორილმა კოდალა-მარიფათას უხმოდ აუარ-ჩაუარა ცხვირწინ.





—ცირკში მინდა მიგიწვიოთ!
ინდაურმა არც ახლა გასცა ხმა, შებურუნდა და ცა-
ში დაიწყო ყურება.

ამის შემხედვარე კოდლა მარიფათას ისეთი სი-
ცილი აუვარდა, თვალებიდან სულ ცრემლები წამო-
სცივდა.

კოდლას სცილიზე გახარებული თრახთრახა გა-
მორლახუნდა სახლიდან, აქოდა, სასაცილო მე კი
არა, აიფხორააო.

ასე იყო თუ ისე, კოდლა მარიფათა რაღა მარი-
ფათა იქნებოდა, საქმეს თუ ვერ გაარიგებდა: თრახ-
თრახზე და აიფხორაც იოლად დაიყოლია და ერთ
მშვენიერ დღეს ორივე გყე „ფოთლოვანის“ ცირკის
ხუშარა გახდა.

პირველი გამოსვლის დღე იყო. ფრინველებითა
და მხეცებით გაჭედოლ დარბაზში ნემსიც არ ჩავარ-
დებოდა. საცაა წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო.

კოდლა მარიფათამ ნისკარგით ხეზე მესამედ დაა-
კაკუნა და... არენაზე აიფხორა გამოჩნდა. როგორც
მარიფათამ ასწავლა, მაყურებელს თავი დაუკრა,
აქა-იქ ზოგიერთმა კიდევ დაუსტვინა, მაგრამ კისერი
რომ დაიმოკლა, ჩიჩახევი რომ დაიგრძელა და ფრთე-
ბი რომ ჩამოუშვა, სიცილმა და ტაშმა იფეთქა. ტაში
ის იყო, მიჩუმდა, რომ თრახთრახა გამოჩნდა! ისევე
იგრიალა ტაშმა.

მარიფათა სიხარულით აღარ იყო.

ჩიხევსა და კაჭკაჭს შურისაგან ბოღმა მისწო-
ლოდათ, თუმცა ტაშს მაინც უკრავდნენ.

—ჩვენი კარის მეზობლები არიან, ჩვენ ხელში
გაიზარდნენ! — ენას არ აჩერებდა კაჭკაჭი.

— თავიდანვე ეგუობოდათ, რა ბიჭებიც დადე-
ბოდნენ! — ეუბნებოდა ჩიხიკი მოლაღურს.

ტაში კი გრიალებდა და გრიალებდა გყე „ფოთ-
ლოვანში“.



გამოსცანა

იმ საკვირველ ვანჯინაში
არც წვიმაა, არც ქარია,
გარეთ სიცხის ბული დგის და,
შიგ კი — ცივი ზამთარია.

ვიქტორ ლეჟავა

შარაღა

მუსიკალური ბგერები
ერთიმეორეს ურთვის:
პირველია და მეექვსე,
კარგად ცნობილი შენთვის.
შეცვალეთ წინა ხმოვანი
ანბანის მეცხრე ბგერით,
აკინძულია უურხალი
და წასაკითხად გელით.

ვოთა ამირანაშვილი

ვარიულ ჭანჭერი







ეკას ლექსი

გუშინ ეკა-ეკუნას
ვარდის კონა ეკონა!
ვინც კი ნახს, სუუჟელას
ეკა-ვარდი ეკონა!



ზარბი გოგო

ჭილის ქედი მოუქსოვა
რუსუდანსა დაიკოსა,
მაგრამ ისე მოეწონა —
თავსე თვითონ დაიკოსა!



შთავარი რედაქტორი შუხრან შაშაშვიანი

სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიბაშვილი, ლეილა ქიხაძე, ვაჟა ზაქარაიძე, ჯიშნაძე მუჯირი, იმრაზ მამუკაშვილი (პ/მგ მღვანე), ზაზა ცხადაძე (სამხ. რედაქტორი), რობერტ ლარიბაშვილი, ვივი ძნელაძე.

საქ. აღმკ. ცე-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფურნალი. ვლადი ნახატი რედაქტორისა და გამომცემის 47-ე წელი.

ტექნიკური მ. ბოინაშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მღვანის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფ.—93-98-19; სამღვანისი—93-98-16.



გადაცემა სასაწყობოდ 12/VI-74 წ., ხელმოწერილია დისაბეგლად 27/IX-74 წ., კალიბრის ზომი 60x90^{1/16} ფიზ. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 159.700 შეგ. № 2843. „Dina“ № 11. ნა გრუზინკომ ჳზკე. ფხსი 20 კაბ.

საქ. კმ ცე-ის
გამომცემლობა

Издательство
ЦК КП Грузии



„მზე და პირიმზე“—ნახ. ნათია ლულუაშვილისა, 6 წ. ყაჭუბეს რაიონი, სოფელი სწო.
 „სოლიკო პაპა“—ნახ. თამარიკო შირიანაშვილისა, 3 წ. თბილისი.
 „მეჩი“—ნახ. აჩიკო ბაკრაშვილისა, 5 წ. თბილისი.



„პეიჭაუი“—ნახ. მათა ჩიხლაძისა, 8 წ. კუბა, ქ. ჰაევანა.
 „ჩიტები და ფრთხენე“—ნახ. თამარიკო ფაცურისი, 7 წ. თბილისი.
 „ხე“—ნახ. ვალიკო ლუკიაშვილისა, 6 წ. გურჯაანის რაიონი, სოფელი ჩემლაყი.